დამტკიცებულია:	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N02-2020 დადგენილება	16.01.2020

პროფესიული (სასწავლო-საწარმოო) პრაქტიკის შესრულების ინსტრუქცია

მუხლი 1. პრაქტიკის აღწერა

სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პრაქტიკა არის სავალდებულო კომპონენტი და პროგრამის განუყოფელი ნაწილი. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული უნარ–ჩვევების გამომუშავებისათვის. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდგომ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამივე დაინტერესებული მხარისათვის: სტუდენტის, უნივერსიტეტისა და დამსაქმებლებთათვის. პროფესიული პრაქტიკის ფორმატიდან გამომდინარე სასწავლო პრაქტიკა ტარდება უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ობიექტზე/კლინიკაში, ხოლო საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ, ვისთანაც უნივერისტეტს გააჩნია სახელშეკრულებო ურთიერთობები და დადებული აქვს კონტრაქტები. პრაქტიკის ობიექტი (პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაცია) ან მისი სტრუქტურული ერთეული არის დარგის შესაბამისი.

მუხლი 2. პრაქტიკის ორგანიზება

პრაქტიკას ხელმძღვანელობს პრაქტიკის ხელმძღვანელი (თჰუ შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენელი), რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის სილაბუსის განხორციელებაზე; საწარმოო პროფესიული პრაქტიკის ობიექტი გამოყოფს მენტორს, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის ობიექტში სტუდენტზე ზედამხედველობის განხორციელებაზე და უნივერსიტეტს უკავშირდება შესაბამისი კონტრაქტით ან სხვა წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიული პრაქტიკის განხორციელების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მოსამზადებელი შეხვედრა, სტუდენტის ინფორმირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ; საწარმოო პრაქტიკის ადგილის გაცნობა მენტორის მიერ; სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური ჩანაწერების წარმოება; სტუდენტის ზედამხედველობა მენტორის მიერ; სტუდენტის კონსულტირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ, პრაქტიკის დღიურის წარმოება, პრაქტიკის ანგარიშის მომზადება, პრაქტიკის შუალედური შეფასება პრაქტიკის ხელმძღვანელისა და მენტორის მიერ; პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვა (დასკვნითი შეფასება) სპეციალური დარგობრივი კომისიის წინაშე /იხ. მუხ. 6/.

მუხლი 3. პრაქტიკის სილაბუსი

პრაქტიკის სილაბუსის ფორმას შეიმუშავებს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერისტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პრაქტიკის სილაბუსში სავალდებულო წესით უნდა აისახოს: კურსის სახელწოდება, სასწავლო კურსის კოდი, სასწავლო კურსის სტატუსი, პრაქტიკის ობიექტი, ECTS კრედიტი, სასწავლო კურსის ფორმატი, პრაქტიკის ხელმძღვანელი/მენტორი, პრაქტიკის მიზნები, სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები, პრაქტიკის პროცესში განსახორციელებელი აქტივობა/შინაარსი, პრაქტიკის შედეგები (დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები), სწავლებისა და სწავლის მეთოდები, პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები და სხვ.

მუხლი 4 . პრაქტიკის დღიური

სტუდენტმა უნდა აწარმოოს ყოველდღიური აქტივობების აღწერა, რაც მას დაეხმარება პრაქტიკის ანგარიშის ან პროექტის მომზადებაში. დღიური მინიმუმ უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- თარიღი,
- საწარმოს/დაწესებულების/ორგანიზაციის განყოფილება/დეპარტამენტი/ერთეული;
- შესრულებული ფუნქცია,
- კომენატარი.

პრაქტიკის პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის დაფიქსირებაში დამატებით შესაძლებელია კომპეტენციების განვითარების დღიურის წარმოებაც.

კომპეტენციების განვითარების დღიური

დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები	მაგალითები
საკომუნიკაციო უნარები (ლინგვისტური უნარები)	
ჯგუფში მუშაობა	
საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი და ა.შ.	

მუხლი 5 . პრაქტიკის ანგარიში
პრაქტიკის ანგარიშის შედგენის ინსტრუქცია

- თავფურცელი;
- უმაღლესი სასწავლებელი;
- პრაქტიკის განმახორციელებელი საწარმოოს/დაწესებულების/ორგანიზაციის დასახელება;
- პრაქტიკის დაწყებისა და დამთავრების თარიღი;
- სტუდენტის სახელი და გვარი;
- პრაქტიკის ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- რეზიუმე;
- პრაქტიკის ანგარიშის ერთგვერდიანი შეჯამება;
- სარჩევი;
- საწარმოოს/დაწესებულების/ორგანიზაციის აღწერა

ანგარიშის ეს ნაწილი უნდა ასახავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- საწარმოოს/დაწესებულების/ორგანიზაციის სრული დასახელება, მისამართი და მოკლე ისტორია;
- საწარმოოს/დაწესებულების/ორგანიზაციის ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმა, საკუთრების ფორმა, სფერო, რომელშიც ფუნქციონირებს; წარმოებული პროდუქცია და/ან მომსახურება და ძირითადი მომხმარებლები
  საწარმოოსდაწესებულების/ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა (სქემა), უსაფრთხოების და ეთიკის ნორმების რეგულირება;

პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი, ანგარიშის ძირითადი ნაწილია. მასში უნდა აისახოს განხორციელებული საქმიანობა და ამ პროცესში დადგეგმილი სწავლის წედეგების მიღწევის გზები. პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:
-რა ტიპის ფუნქციებს ასრულებდით პრაქტიკის დროს?
-პრაქტიკის პროგრამით დაგეგმილი/ან დაუგეგმავი რომელი უნარები შეიძინეთ და/ან განავითარეთ პრაქტიკის პროცესში?
-რამდენად შეესაბამებოდა პრაქტიკის დროს თვენს მიერ განხორციელებული საქმიანობა თქვენს მიერ მანამდე გამომუშავებულ დარგობრივ და ტრანსფერულ კომპეტენციებს?
აქ სტუდენტმა შეიძლება გადმოსცეს ის სიახლეები, რომელსაც გაეცნო პრაქტიკის პროცესში: უპასუხოს კითხვაზე - რა გავლენას მოახდენს პრაქტიკა თქვენს სამომავლო კარიერულ გეგმებზე?

- **დასკვნები;**

მოიცავს პრაქტიკიდან მიღებულ ძირითად დასკვნებს და ზოგად დაკვირვებას პრქტიკის ობიეტტზე

- დანართი;
- გრაფიკები, ცხრილები, სურათები და ა.შ.

მუხლი 6 . პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვის /დასკვნითი გამოცდის/ ორგანიზება

1. პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვისათვის იქმნება სპეციალური დარგობრივი კომისიები, რომელთაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე 3 წევრისაგან. კომისიის თავმჯდომარე არის ფაკულტეტის დეკანი ან საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო კომისიის წევრები: პრაქტიკის ხელმძღვანელი და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი (მენტორი). პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვის მსვლელობასა და შედეგებზე უნდა შედგეს საბოლოო ოქმი და შეივსოს საგამოცდო უწყისი.
2. პრაქტიკის ანგარიშის განმეორებით საჯარო დაცვაზე წარმოდგენა შეიძლება იმავე სემესტრში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება 41-50 ქულა /FX-ის ვერ ჩააბარა/ საფუძველზე - არანაკლებ 5-დღიანი შუალედის დაცვით.

მუხლი 7 . პრაქტიკის შეფასება

პრაქტიკის შეფასება ხდება ორ ეტაპად: შუალედური და დასკვნითი შეფასებების სახით.
შუალედური შეფასება -მაქსიმუმ 70 ქულა
დასკვნითი შეფასება- მაქსიმუმ 30 ქულა

1.პრაქტიკის **შუალედური შეფასება** ითვალისწინებს 2 ეტაპს და კომპონენტს :
<u>1.1 აქტივობას პრაქტიკულ მეცადიონეობაზე;</u>
1.2 პრაქტიკის დღიურის წარმოებას.

<u>1.1 აქტივობა პრაქტიკულ მეცადინეობაზე გულისხმობს:</u>
სტუდენტის დასწრება/მონაწილეობას პრაქტიკულ მეცადინეობაზე, რომლის დროს მოწმდება სტუდენტის აქტიურობა პრაქტიკის ობიექტზე. მოწმდება შესასრულებელი პრაქტიკული სამუშაოს /აქტივობის ცოდნის და შესრულების დონე, აქტიურობის ხარისხი, შესასრულებელი სამუშაოს დროის მენეჯმენტის ეფექტურად გამოყენების დონე, გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე, ობიექტზე დასმული შეკითხვების და პასუხების ადეკვატურობა, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირების უნარი, კომუნიკაციის უნარი, ლოგიკურად და თანმიმდევრულად მსჯელობის უნარი. სტუდენტი ფასდება ყოველკვირეულად.
1.2. პრაქტიკის დღიურის წარმოება გულისხმობს:

სტუდენტის მიერ შესრულებული პრაქტიკული სამუშაოს აღწერას და ჩანაწერების გაკეთებას. დღიურის წარმოების დროს მოწმდება მოცემული დავალების სწორად და სრულად შესრულების ხარისხი, შეძლო თუ არა სტუდენტმა დავალების შესრულების სწორი გზის განსაზღვრა, გამოავლინა თუ არა სტუდენტმა მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სრულად გამოყენების უნარი, დავალების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გათვალისწინებისა და მსჯელობის უნარი.

შუალედური შეფასებების ქულათა გადანაწილება, სასწავლო კვირეების რაოდენობა განსხვავებულია საგანამანათლებლო პროგრამის სპეციფიკის, კრედიტების ოდენობისა და საკონტაქტო საათების გათვალისწინებით და გაწერილია შესაბამის პრაქტიკის სილაბუსში.

2. **პრაქტიკის დასკვნითი შეფასება /გამოცდა/ (მაქსიმუმ 30 ქულა),** ახდენს პრაქტიკის პერიოდში მიღებული კომპეტენციების დემონსტრირებას და ითვალისწინებს პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვას და შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

2.1. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება - მაქსიმუმ 15 ქულა;

2.2. პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია - მაქსიმუმ 15 ქულა.

ა) პრაქტიკის ანგარიშის შეფასება შედგება 4 კომპონენტისაგან:

1. გაფორმება და რეზიუმე, რომელიც ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს – მაქსიმუმ 4 ქულა:

1.1. პრაქტიკის ანგარიში სწორად არის გაფორმებული და რეზიუმეში მოყვანილი დასკვნები პირდაპირ ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს – 4 ქულა;

1.2. პრაქტიკის ანგარიში ნაილობრივ სწორად არის გაფორმებული და რეზიუმეში მოყვანილი დასკვნები ნაწილობრივ ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს – 3-2 ქულა;

1.3. პრაქტიკის ანგარიშის უმეტესი ნაწილი არ არის სწორად გაფორმებული და რეზიუმეში მოყვანილი დასკვნები არ ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს – 1 ქულა.

1.4. პრაქტიკის ანგარიშს არ აქვს რეზიუმე, არაა გაფორმებული უმეტესი ნაწილი – 0 ქულა.

2. პრაქტიკის ობიექტის აღწერა, რომელიც ქმნის მკაფიო წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე – მაქსიმუმ 4 ქულა:

2.1. პრაქტიკის ობიექტის აღწერა ზუსტად არის გადმოცემული და ქმნის მკაფიო წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე –4 ქულა;

2.2. პრაქტიკის ობიექტის აღწერა ნაწილობრივ არის გადმოცემული და ქმნის მხოლოდ მიახლოებულ წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე –3-2 ქულა;

2.3. პრაქტიკის ობიექტის აღწერა წარმოდგენილია სქემატურად, 1-2 ფრაზით, რაც არ ქმნის არანაირ წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე –1 ქულა.

2.4. სტუდენტმა პრაქტიკის ობიექტის აღწერა ვერ შეძლო – 0 ქულა.

3. პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი (რამდენად შეესაბამება პრაქტიკული საქიანობა პროფესიული პრაქტიკის მიზნებს, რამდენად განავითარებს პროფესიულ კომპეტენციებს) – მაქსიმუმ 4 ქულა:

3.1. პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი შეესაბამება პრაქტიკის მიზნებს და სრულფასოვნად განავითარებს პროფესიულ კომპეტენციებს – 4 ქულა;

3.2. პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი ნაწილობრივ შეესაბამება პრაქტიკის მიზნებს და ნაწილობრივ განავითარებს პროფესიულ კომპეტენციებს – 3-2 ქულა;

3.3. პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი მინიმალურად შეესაბამება პრაქტიკის მიზნებს, არ განავითარებს პროფესიულ კომპეტენციებს – 1 ქულა.

3.4. პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი არ არის წარმოდგენილი – 0 ქულა.

4. დასკვნები და რეკომენდაციები – 3 ქულა:
4.1. პრაქტიკის ანგარიშში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული დასკვნები და სწორად არის გადმოცემული რეკომენდაციები -3 ქულა;
4.2. პრაქტიკის ანგარიშში ნაწილობრივ არის ჩამოყალიბებული დასკვნები და გადმოცემული რეკომენდაციები - 2 ქულა;
4.3. პრაქტიკის ანგარიშში ჩამოყალიბებულია რამოდენიმე დასკვნა და რეკომენდაცია -1 ქულა.
4.4. პრაქტიკის ანგარიში არ მოიცავს დასკვნებსა და რეკომენდაციებს - 0 ქულა.

ბ) პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია შედგება შემდეგი 5 კომპონენტისაგან:
1. შესავალი: მაქსიმუმ 3 ქულა
3 ქულა - ეფექტურია, არატრაფარეტული, იპყრობს აუდიტორიის ყურადღებას;
2 ქულა -საინტერესოდ არის მოწოდებული;
1 ქულა - არ ცდილობს აუდიტორიის დაინტერესებას;
0 ქულა - ტრაფარეტული და უინტერესოა.

2. არგუმენტაცია: მაქსიმუმ 3 ქულა
3 ქულა - არგუმენტები ბევრია და დამაჯერებელი, გამყარებულია ფაქტობრივი მასალით;
2 ქულა - არგუმენტები აქვს მაგრამ აკლია ფაქტობრივი მასალით გამყარება;
1 ქულა - არგუმენტაცია მცირეა და არადამაჯერებელი;
0 ქულა - არასწორად აქვს არგუმენტირებული ან არ აქვს არგუმენტები.

3. დასკვნები: მაქსიმუმ 3 ქულა
3 ქულა - ლოგიკური და სრულყოფილია, კარგადაა ჩამოყალიბებული და ორგანიზებული;
2 ქულა - ლოგიკურია და კარგად არის ჩამოყალიბებული;
1 ქულა - დასკვნები გაუმართავი და ულოგიკოა;
0 ქულა - არასწორი დასკვნები აქვს გაკეთებული ან არ აქვს.

4. აუდიტორიასთან კონტაქტი: მაქსიმუმ 3 ქულა
3 ქულა - აქვს კომუნიკაციის უნარი, ადექვატურად რეაგირებს აუდიტორიის რეაქციაზე;
2 ქულა - გრძნობს აუდიტორიას და ძირითადად ამყარებს კონტაქტს;
1 ქულა - პერიოდულად ცდილობს კონტაქტს;
0 ქულა - ვერ ამყარებს კონტაქტს, საუბრობს არათანმიმდევრულად.

5. თვალსაჩინოების გამოყენება: მაქსიმუმ 3 ქულა
3 ქულა - იყენებს უახლეს ტექნოლოგიებს;
2 ქულა - იყენებს მხოლოდ დიაგრამებსა და ცხრილებს;
1 ქულა - იყენებს მწირედ;
0 ქულა - არასწორად იყენებს/ არ იყენებს.

მუხლი 8. დათქმა
წინამდებარე ინსტრუქცია არის საერთო თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ყველა პროგრამისათვის, თუ ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს განსხვავებულ მოთხოვნებს.

პროფესიული პრაქტიკის დასკვნითი შეფასების უწყისი

_____ფაკულტეტი

_____საბაკალავრო პროგრამა

№	სტუდენტის სახელი გვარი	შეფასების კომპონენტები		
		შუალედური შეფასება მაქსიმუმ 70 ქულა;	დასკვნითი შეფასება მაქსიმუმ 30 ქულა;	საბოლოო შეფასება
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				

კომისიის თავმჯდომარე_____

კომისიის წევრები:

1._____
2._____
3._____
4._____
5._____

თარიღი__ _____ 20___